THE UNKNOWN WORK OF GOLDSMITH MAMNE AT MTIS ST GEORGE MONASTERY AND IT PECULIAR UNIQUE ICONOGRAPHIC DETAIL[1]

მამნე ოქრომჭედლის უცნობი ნამუშევარი მთის წმ. გიორგის მონასტრიდან და მისთვის დამახასიათებელი უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი[2]

NIKOLOZ ZHGHENTI
PhD student of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
Researcher at K. Kekelidze National Centre of Manuscripts of Georgia (M. Aleksidze street 1/3, Tbilisi Georgia).
Tel.: +995 599899646.
E-mail: nikozhgenti@gmail.com.
ORCID: 0000-0002-5526-4105

Abstract

According to some materials Mtis St. George's Monastery owned at least 14 antiquities of the ecclesiastic and liturgical use. Only three of them survived till our days, as others were lost during the soviet anti-religious movements of 1920-es. Nevertheless, these antiquities are still researchable according to the old descriptions.

This article examines one of the survived icons of the Monastery – small silver goldened icon of horseman St. George slaying the dragon. This icon is kept at the Kutaisi State Historical Museum. The Icon has no inscription which could mention the name(s) of the ktetor(s), or the date of its creation. Still, there are some old Georgian letters which can be read as "St. George". The palaeographical characteristics of these letters appeared to have a lot in common with the inscriptions of Sadgeri and Barakoni pre-altar crosses, made by the famous goldsmith of 16th century – Mamne. Apart of this fact, other general and detailed visual similarities can be found between this St. George's Icon and Mamne's other works. Finally, a unique iconographic detail – human's (Diocletian's) profile harmoniously combined in the wing of the dragon, which can be seen only on the Monastery's St. George's Icon and on the icon of Sadgeri pre-altar cross, made it clear, that the Icon I've been working on also belonged to Mamne's artworks. Even though the Sadgeri pre-altar cross is widely known in scientific literature, this unique detail – an outstanding novelty of Mamne's brilliant mind – remained unnoticed.

[1] This research [PHDF-21-7551] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).
[2] კვლევა [PHDF-21-7551] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

Key Words: Mtis St. George's Monastery; St. George's Icon; Goldsmith Mamne; Sadgeri Prealtar Cross; Barakoni Prealtar Cross; Emperor Diocletian; Iconographical Motive; Face Profile.

ნიკოლოზ ჟღენტი
დოქტორანტი (ისტორიის პროგრამა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
მკვლევარი (მ. ალექსიძის ქ. 1/3, თბილისი, საქართველო).
ტელ.: +995 599899646.
ელ. ფოსტა: nikozhgenti@gmail.com.
ORCID: 0000-0002-5526-4105

აბსტრაქტი

მთის წმ. გიორგის მონასტერში, ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, 14-მდე საეკლესიო დანიშნულები სიძველე ინახებოდა. დღეისათვის შემორჩა მხოლოდ 3. ამ სიწმინდეების უმრავლესობა 1920-იანი წლების საბჭოთა ანტირელიგიურ მოძრაობას შეეწირა. მიუხედავად ამისა, შემორჩენილი აღწერილობების მიხედვით, ამ სიძველეების შესწავლა მეტნაკლებად შესაძლებელია.

სტატიაში შესწავლილია მთის წმ. გიორგის მონასტრის ერთ-ერთი შემორჩენილი სიძველე - წმ. გიორგის მცირე ზომის ვერცხლის მოოქროვილი ჭედური ხატი, რომელიც დღეისათვის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული. ვინაიდან ხატზე არ არის შემორჩენილი საქტიტორო წარწერა, უცნობი იყო მისი შესრულების პერიოდი და ოქრომჭედლის ვინაობა. თუმცა, ხატს ახლავს განმარტებითი წარწერა, რომლის პალეოგრაფიული ანალოგები მოიძებნა XVI ს-ის ცნობილი ოსტატის, მამნე ოქრომჭედლის მიერ მოჭედილ სადგერისა და ბარაკონის საკურთხევლისწინა ჯვრებზე. პალეოგრაფიული მსგავსებების გარდა, მამნეს ნამუშევრებსა და წმ. გიორგის ამ ხატს შორის გამოიკვეთა ასევე ხელის აშკარა მსგავსებებიც (როგორც ზოგადი ვიზუალი, ასევე დეტალები). გაჩენილი ვარაუდი, რომ მთის წმ. გიორგის ეს ხატიც მამნეს ხელს ეკუთვნოდა, საბოლოოდ დაადასტურა ერთმა უნიკალურმა იკონოგრაფიულმა დეტალმა - მონასტრის ხატზე, გველეშაპის ფრთაში გამოსახულია ადამიანის (დიოკლეტიანეს) პროფილი, რომლის ანალოგიც მხოლოდ და მხოლოდ სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის წმ. გიორგის სცენაზე გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ დეტალისთვის ყურადღება ჯერ არავის მიუქცევია. ყოველივე მიუთითებს, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრის წმ. გიორგის ეს ხატიც მამნეს მოჭედილი უნდა იყოს და მის შემორჩენილ ნამუშევრებს

შორის რიგით მეშვიდეა. მონასტრის ხატი და სადგერის 1522/3-1534 წლების საკურთხევლისწინა ჯვარი, რომელზეც გვხვდება ანალოგიური სცენა, თითქმის იდენტურია და შეიძლება მის თანადროულადაც ჩაითვალოს. თუმცა, ჩემი დაკვირვებით, მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს ხატი, შედარებით უფრო დახვეწილი ხელობითაა ნაჭედი და სადგერის ჯვარზე გვიან უნდა იყოს შესრულებული. შესაბამისად, მის სავარაუდო თარიღად XVI საუკუნის შუა პერიოდი უნდა განისაზღვროს.

საკვანძო სიტყვები: მთის წმ. გიორგის მონასტერი; წმ. გიორგის ხატი; მამნე ოქრომჭედელი; სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი; ბარაკონის საკურთხევლისწინა ჯვარი; იმპერატორი დიოკლეტიანე; იკონოგრაფიული მოტივი; სახის პროფილი.

შესავალი

მთის წმ. გიორგის მონასტერი ერთ-ერთი გამორჩეული სამონასტრო სენიორია იყო მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. მონასტერი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რეგიონის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მონასტრის მნიშვნელობაზე მეტყველებს ძველი ქართული ხელოვნების 10-ზე მეტი გამორჩეული ნიმუში, რომელიც ამ მონასტერში ინახებოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორია ერთიანი, ფუნდამენტური კვლევის საგანი აქამდე არ ყოფილა. მეტიც, მონასტრის ისტორიის საკითხებს არც ცალკეული კვლევები მიძღვნია.

ამ ამოცანის შესრულების ერთ-ერთი მთავარი საფეხური სწორედ ზემოთ ხსენებული სიძველეების სიღრმისეული კვლევაა. მონასტრის ცალკეულ სიძველეებს ნაშრომების მთელი ციკლი მივუძღვენი. ქვემოთ მოყვანილი სტატია სწორედ ამ ციკლის ორგანული ნაწილია.

სტატიის მთავარი ობიექტი მონასტრის ერთ-ერთი წმ. გიორგის ხატია, რომელიც გ. ბოჭორიძეს 1925 წ-ს ოკრიბის სოფ. წყნორში უნახავს, შემდეგ კი ქუთაისის მუზეუმისთვის ჩაუბარებია. მანვე შეადგინა ხატის ერთადერთი აღწერილობა (ბოჭორიძე, 1995: 102). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს ნამუშევარი XVI ს-ის ცნობილი ოქრომჭედლის, მამნეს ნამუშევარია და მის მიერ შექმნილ უნიკალურ იკონოგრაფიულ დეტალს შეიცავს.

მეთოდები

კვლევის პროცესში შესაბამისი თანმიმდევრობით გამოვიყენე რამდენიმე მეთოდი:

უპირველეს ყოვლისა, შევადგინე სიძველის არქეოგრაფიული აღწერა. შემდეგ, ხატის შექმნის თარიღის განსაზღვრისთვის, გამოვიყენე პალეოგრაფიული ანალიზი და შედარება სხვა ჭედურ წერილობით ძეგლებთან. ამის შედეგად გამოკვეთილ

მსგავს ჭედურ ანალოგებთან მოხერხდა საერთო ზოგადი და დეტალური ვიზუალური მონაცემების შედარება. სიძველის ავტორის იდენტიფიკაციის შემდეგ, შემორჩენილი საისტორიო ცნობების ანალიზის შედეგად, განისაზღვრა სიძველის შექმნის მიახლოებითი პერიოდი.

შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა მამნე ოქრომჭედლის აქამდე უცნობი ნამუშევარი და დაემატა მის აქამდე ცნობილ 6 ნამუშევარს. ამას გარდა, პირველად გამოიკვეთა მის მიერ შექმნილი უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი - გველეშაპის ფრთაში შერწყმული დიოკლეტიანეს სახის პროფილი. მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორია გამდიდრდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიძველით.

დისკუსია

მთის წმ. გიორგის მონასტერი, რომელიც დღეს ლეკნარის, ასევე „მთასაყდარის“ სახელწოდებებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ქვემო რაჭაში, რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზეა გაშენებული და თარიღდება დაახლოებით IX ს-ის II ნახევრიდან X ს-ის I ნახევრით, მთავარი ნავის ჩრდილოეთ მინაშენი X ს-ის დასასრულით ან XI ს-ის პირველი მესამედით, დასავლეთ მინაშენი კი უფრო მოგვიანო პერიოდით (ბოჭორიძე, 1995: 85-90; დვალი, ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია, 1968: 155-165). მონასტრის კოორდინატებია – 42°26’10.45“; 42°58’32.15“.

მთის წმ. გიორგის მონასტერი, ხედი ჩრდ-დას-დან, მ. დვალის ფოტო, 1954 წ.

მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიის კვლევისას გამოიკვეთა მონასტრის კუთვნილი ძალზედ საინტერესო საეკლესიო-რიტუალური დანიშნულების სიძველეები, რომელთა საერთო რაოდენობა 14-მდეა. დღეისათვის მათი უმრავლესობა დაკარგულად ითვლება. მათ შესახებ ინფორმაციას ვხვდებით მთის წმ. გიორგის მონასტრის საისტორიო საბუთებსა და გიორგი ბოჭორიძის ნაშრომებში, რომელმაც აღნიშნული სიძველეები 1923-26 წლებში რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში მოგზაურობისას მოინახულა და აღწერა (გურგენიძე, 1986: 162). ეს სიძველეები მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოჩნდა როგორც უშუალოდ მონასტრის ისტორიისათვის, ასევე შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, საეკლესიო და ასევე ქართული ხელოვნების ისტორიისათვის (ვრცლად იხ. ჟღენტი, 2019; ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრის საეკლესიო სიძველეები (ზოგადი მიმოხილვა), 2020ა: 299-309; ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრის კიდევ ერთი დაკარგული სიძველე - ქუცნა მხეიძის ქტიტორობით მოჭედილი წმ. გიორგის ხატი, 2020ბ: 174-195; ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრის დაკარგული საკურთხევლისწინა „ნათლისმცემლის ჯვარი“ (იგივე ძმუისის „ოქროს ჯვარი“) გლახაკი არსენის, ბაგრატ კურაპალატისა და ერისთავთ-ერისთავების - კახაბერის და მიქელის საქტიტორო-მოსახსენებელი წარწერებით, 2021ა: 308-328; ჟღენტი, ტაოკლარჯული წარმომავლობის სიძველე მთის წმ. გიორგის მონასტრიდან - XI საუკუნის საკურთხევლისწინა ჯვრის უცნობი ფრაგმენტი იშხნიდან?, 2021ბ: 274-286).

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავ ერთ-ერთ ასეთ სიძველეს _ ოდესღაც მონასტრის კუთვნილ უნიკალურ წმ. გიორგის ხატს, რომელიც დღეისათვის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება ნომრით #3168/565 (ძვ. #2872).

ძველი ქართული ხელოვნების ეს ძვირფასი ნიმუში გ. ბოჭორიძეს ოკრიბის სოფ. წყნორის წმ. გიორგის ეკლესიაში უნახავს 1925 წელს. სოფელი მთის წმ. გიორგის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლ. 5 კმ-ში მდებარეობს. სოფელი წყნორი, უფრო ადრე თუ არა, დავით IV აღმაშენებლის პერიოდიდან მოყოლებული მთის წმ. გიორგისადმი იყო შეწირული. აქვე მდებარეობდა მონასტრის მეურნეობის ზედამხედველის – „მებართლომეს“ რეზიდენციაც (ჟღენტი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორიების ისტორიიდან - გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები), 2020გ: 91). ადგილობრივმა მოსახლეობამაც დაუდასტურა გ. ბოჭორიძეს, რომ სოფ. წყნორში დაცული საეკლესიო სიძველეები სწორედ ამ მონასტრიდან ყოფილა ჩატანილი (ბოჭორიძე, 1995: 88-89). გ. ბოჭორიძემ ძალზედ ლაკონურად აღწერა ხატი, თუმცა, ეს გასაგებიცაა, რადგან მას მუშაობა უწევდა უკიდურესად რთულ დროს – კომუნისტური ანტირელიგიური ტალღის მძვინვარებისას, როდესაც სიძველეთა აღწერის მიზნით მოღვაწე გ. ბოჭორიძე ხშირად დევნის ობიექტიც კი ხდებოდა.[3] სწორედ გ. ბოჭორიძის წყალობით აღმოჩნდა ეს სიძველე ქუთაისის მუზეუმში და გადაურჩა განადგურებას.

[3] აქვე მომყავს ხატის გ. ბოჭორიძისეული აღწერილობა: *„ვერცხლზე ნაჭედი ხატი წმ. გიორგისა, 21X17 სმ, გადაკრული ფიცარზე, ძლიერ დაზიანებული: ვერცხლის ფურცელი ნახევრად აგლეჯილი და*

ხატის ტექნიკური აღწერილობა:

ზომა: 24X20,5 სმ. წონა: 1121 გრ. მასალად გამოყენებულია მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტა. ფირფიტა ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ბუდეში. წმ. გიორგი ცხენზე მჯდომარეა, პირით მარჯვენა მხარესაა მიმართული და შუბით განგმირავს ცხენის ფეხებთან მყოფ გველეშაპს. ხატის მარჯვენა ზედა ნაწილში გამოსახულია მაკურთხეველი მარჯვენა, რომელიც ოთხად გახსნილი ზეცის ბოლო შრიდან გამოდის. წმ. გიორგის თავი სამი მეოთხედით არის მოტრიალებული და მაკურთხეველი მარჯვენისადმი მოწიწებით ოდნავ დახრილია. ხატს აგლეჯილი აქვს წმ. გიორგის ტანის ქვედა და ცხენის დიდი ნაწილი. აგლეჯილია ასევე გველეშაპის თავი და კუდი. შემორჩენილ ნაწილზე კი ჩანს, რომ წმ. გიორგის შუბის წვერი გველეშაპის კეფიდანაა გამოსული. გველეშაპის ტანზე, ფეხთან დაშვებულ ფრთაზე გამოსახულია ადამიანის პროფილი. როგორც ჩანს ხატს კიდეებზე შემოუყვებოდა დეკორატიული არშია, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტიღაა შემორჩენილი ხატის კიდეებზე სამ ადგილას, ისიც არა თავის ადგილზე, არამედ ცხენის უკანა ფეხების ადგილზეა მიჭედებული. ხატის ზედაპირზე შეიმჩნევა რამდენიმე ნახვრეტი. როგორც ჩანს ამ ადგილებზე ოდესღაც ძვირფასი თვლები იყო დამაგრებული. გველეშაპის ზემოთ გაურკვეველი გამოსახულების ფრაგმენტია, რადგან ეს ნაწილი, ხატის ზოგადი ბრტყელი ფონისგან განსხვავებით უფრო ამობურცულია. აგლეჯილი თავის მარცხნივ ასევე გაურკვეველი გამოსახულებაა, თითქოს ჰგავს იმავე ხატზე ცხენის უზანგს და ლაგამს.

დაკარგული აქვს. ხატი ზის ტყავშემოკრულ ხის ბუდეში, გარედან კიდევ სხვა ტყავის ბუდე აქვს“ (ბოჭორიძე, 1995: 102).

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, #3168/565 (მვ. #2872).

გ. ბოჭორიძე ამ ხატს არ უთითებს თარიღს, თუმცა ხატის როგორც ზოგადი სტილის, ისე მისი დეტალებისა და წარწერის პალეოგრაფიული შედარება სხვა ჭედურ ნამუშევრებთან შესაძლებლობას გვაძლევს არა მხოლოდ დავათარიღოთ ეს ხატი, არამედ მისი ოსტატის ვინაობაც კი დავადგინოთ.

ვინაიდან ვსპეციალიზდები ეპიგრაფიკაზე, დავიწყებ პალეოგრაფიული ანალიზით, რადგან სწორედ ამ მეთოდმა მიმიყვანა ჩვენთვის საინტერესო ხატის თითქმის ზუსტ იკონოგრაფიულ ანალოგთან.

პალეოგრაფიული ანალიზი.

ხატს, წმ. გიორგის თავს ზემოთ, ახლავს ასომთავრული განმარტებითი წარწერა w~l<>g~i – წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი. წარწერის გრაფემები სიმაღლეშია წაგრძელებული, კიდურები მორკალულია, ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია საშუალო სიგრძის კლაკნილი ხაზი. სიტყვებს შორის განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ოთხწერტილი.



ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, #3168/565 (ძვ. #2872). ხატის წარწერა და პალეოგრაფიული პირი.

მიუხედავად იმისა, რომ ხატზე დატანებული წმ. გიორგის განმარტებითი ასომთავრული წარწერა ძალზედ პატარაა და შედგება მხოლოდ ოთხი გრაფემისგან, სწორედ ამ გრაფემათა მოხაზულობის შედარება სხვა მსგავსი სახის ეპიგრაფიკულ ძეგლებთან გვაძლებს ხატის დათარიღების საშუალებას.

წმ. გიორგის განმარტებით წარწერაში ყურადღებას იქცევს გრაფემა გ-ანი. მისი თავი ოდნავ ჩაზნექილია, ხოლო მარცხნივ გაზიდული წარბი ზემოთაა აპრეხილი. გრაფემის მოგრძო ქუსლი მარჯვნივაა გაზიდული და ორგანაა ქვემოთ ჩაზნექილი. მსგავს გრაფემას ვხვდებით 1522/3-1534[4] წლებში შექმნილ სადგერის საკურთხევლისწინა ჭედური ჯვრის წარწერებში. ასევე ბარაკონის საკურთხევლისწინა ჭედური ჯვრის წარწერებში. აღნიშნულ წარწერებში ვხვდებით ასევე მსგავს გრაფემა წ-ილსა და ჲ-ს (საყვარელიძე, 1987: სურ. 19, 26). მსგავსი წ-ილი

[4] სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის თარიღს დიდი მნიშვნელობა აქვს მთის წმ. გიორგის ხატის დათარიღებისათვის. ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ. თუმცა მანამდე საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო თუ რატომ ვათარიღებ მას სხვა მკვლევარებისგან განსხვავებით 1522/3-1534 წლებით. ა. ჩხარტიშვილმა, მიმოიხილა რა სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის წარწერები და დათარიღების სხვადასხვა ვარიანტები, დაასკვნა, რომ ჯვარი შექმნილი უნდა იყოს 1522/3-1529 წლებს შორის (ჩხარტიშვილი, 1978: 8-24). აქედან, ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი (1522/3 წწ.) ჩემი აზრით, კარგად არის არგუმენტირებული და სანდოა (ყვარყვარე III-ის გარდაცვალება 1535 წელს და მისი მემკვიდრის ასაკი - 12/13 წ.). ზედა ქრონოლოგიური ზღვარის შემთხვევაში კი ვფიქრობ ა. ჩხარტიშვილს უნებლიე შეცდომა გაეპარა. საქმე იმაშია, რომ ავტორი ხელმძღვანელობს ორი დაკარგული საისტორიო საბუთით, სადაც ჯვრის, წარწერების მსგავსად, ასევე იხსენიებიან სადგერის ეკლესიის დეკანოზი სვიმონ შოთასძე და მისი ძმები. პირველი საბუთი გაცემულია 1529 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის მიერ ატოცის (შიდა ქართლი) ეკლესიისადმი. საბუთის მიხედვით მეფემ ამ ეკლესიას შესწირა სოფელი (ან ნასოფლარი) თურანი თრიალეთში და ეს შეწირულობა მიაბარა დეკანოზ სვიმონ შოთასშვილსა და მის ძმებს. მეორე საბუთი კი გაცემულია 1534 წელს, ამჯერად იმერთა მეფე ბაგრატ III-ის მიერ სადგერის დეკანოზ გიორგისა (სვიმონის ძმის) და მისი შვილებისადმი. საბუთის მიხედვით სადგერის ჯვარი ამ დროს უკვე დასავლეთ საქართველოში - ჩხარში იყო და მის მხლებლებსა და მცველებს მეფე სახელმწიფო სამსახურისგან ათავისუფლებდა (რუხაძე, 1946: 379-381). საბუთების მონაცემების განხილვის შემდეგ, ა. ჩხარტიშვილი წერს: „*თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმერთა მეფე ბაგრატ III სვიმონს 1529 წელს აძლევს სიგელს ჯვრის მოვლა პატრონობისთვის, მაშინ ჯვარი 1529 წელს უკვე მოჭედილი ყოფილა*“ (ჩხარტიშვილი, 1978: 24). როგორც ვხედავთ, ავტორი სწორედ ამ ნაწილში უშვებს შეცდომას - ბაგრატის საბუთი გაცემულია არა 1529, არამედ 1534 წელს, და არა სვიმონ შოთასძისადმი, არამედ მისი ძმის - გიორგისადმი. სწორედ ამ უნებლიე შეცდომის გამო სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი არასწორად დათარიღდა 1522/3-1529 წლებით. სინამდვილეში ის უნდა დათარიღებულიყო 1522/3-1534 წლებით.

და გ-ანი გვხვდება ასევე ნიკორწმინდის ოთხთავის ბუდის მარცხენა საკეტის XVI ს-ის წარწერაში (ნიკოლეიშვილი, 2001: 82).[5]

პალეოგრაფიული შედარების ცხრილი

მთის. წმ. გიორგის ხატი	სადგერის ჯვარი	ბარაკონის ჯვარი

ამგვარად, პალეოგრაფიული ანალოგების მიხედვით, წმ. გიორგის ხატის წარწერა და თავად ხატიც, ჩემი აზრით, XVI საუკუნით შეიძლება დათარიღდეს,[6] თუმცა ხატის სტილისტური თავისებურებანი, ვფიქრობ, უფრო მეტი და სანდო მონაცემების შემცველია მისი თარიღისა და ავტორის შესახებ.

როგორც ვნახეთ, პალეოგრაფიული შედარებით მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს ხატი ძალზედ ახლოს დგას სადგერისა და ბარაკონის საკურთხევლისწინა ჯვრების

[5] მამნეს ნამუშევრების წარწერებს ყურადღება მიაქცია ასევე თ. საყვარელიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ მის ყველა წარწერაში წ-ილს ყოველთვის მორკალული მუხლი აქვს (საყვარელიძე, 1987: 58). იგივე ფორმის გრაფემას ვხედავთ მთის წმ. გიორგის (წყნორის) ხატზეც.

[6] აღსანიშნავია, რომ ხატს ახლავს კიდევ რამდენიმე გრაფემა. წმ. გიორგის სახის წინ ასომთავრულად წერია: x~ m~ s. პირველი გრაფემა x ორხაზოვანი სტილითაა ნაჭედი, ხოლო მომდევნო m და s ერთხაზოვნად. ხატის განმარტებით წარწერასთან შედარებით, ეს გრაფემები უფრო გაუწაფავი ხელითაა შესრულებული. წარწერის გრაფემათა ამგვარი წაკითხვით თავად დაქარაგმებული სიტყვის შინაარსი ვერ აღვადგინე. თუმცა, ვფიქრობ ამ გრაფემათა ავტორს შეეშალა პირველი გრაფემა და ასო S-ს მაგივრად, შემთხვევით, მისი სარკისებურად შებრუნებული x გამოსახა. თუ ეს დაკვირვება სწორია, მაშინ სიტყვა შეიძლება შემდეგი სახით აღდგეს: შ(ე)მ(უსრავ)ს. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი შეცდომა (ვგულისხმობ გრაფემათა სარკისებურად გამოსახვას) საკმაოდ ხშირად გვხვდება ძველ ქართულ წარწერებში, ასევე უშუალოდ ხატზე გამოსახული კომპოზიციის – ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის მიერ გველეშაპის მოკვლის მიხედვით, ეს დაკვირვება სწორი უნდა იყოს („წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი შ(ე)მ(უსრავ)ს...“). ამას გარდა, ორი ნუსხური ასო ღ-ანი არის ამოკაწრული მაკურთხეველი მარჯვენის თავზე, გახსნილი ზეცის პირველ შრეში (სიტყვა ღ(მერთი)-ს აღსანიშნავად?). იქვე, გახსნილი ზეცის მეორე შრეში, ვკითხულობთ ასო ს-არს. ვინაიდან ხატის განმარტებითი წარწერის გარდა, სხვა გრაფემები გაუწაფავი ხელით, შეცდომით და აზრის დაუსრულებლად არის გამოსახული, ვფიქრობ ისინი ხატის მოჭედვის არა თანადროულ, არამედ უფრო მოგვიანო პერიოდს ეკუთვნიან და მათი პალეოგრაფიული ანალიზი არ მოგვცემს ხატის შექმნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენის შესაძლებლობას.

წარწერებთან, რომელთა მომჭედელი ოსტატიც XVI საუკუნის ცნობილი ოქრომჭედელი მამნეა.

მამნე XVI საუკუნის პირველ მესამედში სამცხე-საათაბაგოში მოღვაწეობს, მოგვიანებით კი იმერეთის სამეფოში გადადის და, სავარაუდოდ, გელათში მკვიდრდება. დღეისათვის მისი ნამუშევრებიდან გამოვლენილი იყო სულ 6 ჭედური ერთეული. თუმცა, ეს ბრწყინვალე ნამუშევრებიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, რომ მამნე არა მხოლოდ საკუთარი ნამუშევრებით შეეცადა გაეცოცხლებინა ძველი ქართული ჭედური ხელოვნების ის უმდიდრესი კულტურა, რომელიც XII საუკუნიდან დაცემას განიცდიდა, არამედ საფუძველი ჩაუყარა ამ დარგის ხელმეორედ აღორძინებას როგორც იმერეთში, ისევე სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებშიც (ჩხარტიშვილი, 1978: 105-109; საყვარელიძე, 1987: 78-79). სწორედ ამ ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო მამნე უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ძველი ქართული ხელოვნების ისტორიაში.

პალეოგრაფიული მსგავსების გარდა, მამნეს ნამუშევრებსა და მთის წმ. გიორგის მონასტრის ხატს შორის გამოვლინდა აშკარა ვიზუალური და სტილისტური მსგავსებებიც. ა. ჩხარტიშვილის მიხედვით, „*მამნე ოქრომჭედლის ნამუშევრები დამუშავებულია აღორძინების ხანის ტექნიკური ხერხებით. ადამიანის ფიგურის გამოსახვისას თავი შესრულებულია შედარებით მაღალი რელიეფით, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილი. სახის ნაკვთები დაბლდება ყელთან; ფიგურის შუა ადგილზე იქ სადაც ხელებია, რელიეფი კვლავ მაღლდება, შემდეგ ისევ დაბლდება თანდათან. თვალის ზედა ქუთუთო რელიეფურია, ამავე ხერხითაა შესრულებული თვალის ოვალი, ბაგე, სამოსის ნაოჭები ზემოდან დაწოლითაა ჩაზნექილი, მათ შორის კი სივრცე ამობურცულია. აქ უკვე საქმე გვაქვს რელიეფის ორმხრივ დამუშავებასთან, გლუვი და გაპრიალებული ფონი ერთ სიბრტყეშია მოცემული. ...ტლანქია ნიკაპისა და ყბის ხაზი, რომლის მოხაზულობა ლოყას აფართოებს. ეს ნაკლი შეიმჩნევა თითქმის ყველა ფიგურის დამუშავებაში. ეს არის მამნეს ნახატის დამახასიათებელი მანერა, რომლითაც მისი ხელწერა ადვილი გამოსაცნობია*“ (ჩხარტიშვილი, 1978: 31, 34). როგორც ვხედავთ, იგივე მახასიათებლები აქვს მთის წმ. გიორგის (წყნორის) ხატსაც, რომელიც დიდ მსგავსებას ავლენს მამნეს ნამუშევრების დეტალებთან. ეს განსაკუთრებით ითქმის სადგერის საკურთხევლიწინა ჯვრის სულ ქვედა ნაწილში გამოსახული წმ. გიორგის სასწაულების ამსახველ სცენებში (ჩხარტიშვილი, 1978: 60-72; საყვარელიძე, 1987: 48-51, სურ. 20).

სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი, 1522/3-1534 წწ., წმ. გიორგის სცენები (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, 1173-76)

მსგავსებები ისეთი დეტალებისა, როგორებიცაა წმ. გიორგის მოსასხამი, აბჯარი, სახე (განსაკუთრებით თვალები, ცხვირი და პირი), ცხენის ფაფარი, ლაგამი, ოთხად გახსნილი ზეცა და მაკურთხეველი მარჯვენა, იმდენად დიდი იყო, ამან უკვე შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ შესაძლებელი იყო მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს ხატიც მამნე ოქრომჭედლის მოჭედილი ყოფილიყო. ეს ვარაუდი კი უკვე დასკვნად აქცია წმ. გიორგის მიერ ბოლღარელი ყრმის დახსნის სცენაზე გველეშაპის ვიზუალმა და იმ გამორჩეულმა იკონოგრაფიულმა დეტალმა, რაც მას ახლავს: გველეშაპის ტანზე, ფრთაში შერწყმული ადამიანის პროფილი (ჩხარტიშვილი, 1978: 68-69), რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მთის წმ. გიორგის მონასტრის ხატზეც გვხვდება.

მთის წმ. გიორგის მონასტრის წმ. გიორგის ხატი და სადგერის ჯვრის წმ. გიორგის სცენა (იკონოგრაფიული შედარებისთვის)

ორივე შემთხვევაში გველეშაპის სხეულზე, ფეხებს ზემოთ დაშვებულ ფრთაზე გამოსახულია ადამიანის სახის პროფილი, პირით მარჯვნივ. ეს დეტალი იმდენად ოსტატურადაა შერწყმული გველეშაპის ტორსთან, რომ ერთი შეხედვით შეიძლება ვერც შეამჩნიოთ.[7] მსგავსი იკონოგრაფიული დეტალის მქონე სხვა ნიმუში, არც ქართულ და არც უცხოურ იკონოგრაფიაში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აღარ გვხვდება.[8]

[7] ასეც მოხდა ამ სიძველეების შემსწავლელ მეცნიერთა შემთხვევაშიც. ვრცლად იხ. ქვემოთ.

[8] არის მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომელიც მსგავს პრეცედენტად შეიძლება ჩაითვალოს. ესაა ე.წ. ატარუთის განძის VI საუკუნის ბარძიმზე გამოსახული ფეხზე მდგომი წმ. გიორგი, რომელიც ადამიანის თავიან გველს განგმირავს (Snyder, 2019: 71, 85). თუმცა, წინამდებარე კვლევაში განხილული გამოსახულება არის ორი არსების - ადამიანისა და გველეშაპის სიმბოლური ერთობა,

ამგვარად, ჩემი აზრით, ყველა ზემოთ დასახელებული მსგავსებისა და განსაკუთრებით გველეშაპის ფრთაში შერწყმული ადამიანის პროფილების იდენტური გამოსახულებები ამტკიცებს, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრის წმ. გიორგის ხატი მამნე ოქრომჭედლის კიდევ ერთი ნამუშევარია, რომელიც დღემდე უცნობი იყო. შესაბამისად, დღეისათვის უკვე ცნობილია ქართული ჭედური ხელოვნების ამ ბრწყინვალე ოსტატის არა 6, არამედ უკვე 7 ნამუშევარი.[9] ესენია:

1. სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი, 1522/3-1534 წწ. (სხმ-1173-76);
2. შემოქმედის მიძინების ხატი და კუბო-კარედი 1522/3-1534 წწ-ის შემდგომ (დაკარგულია 1920 წელს);
3. ბარაკონის საკურთხევლისწინა ჯვარი, 1522/3-1534 წწ-ის შემდგომ (ქსიმ 2718);
4. კულაშის კუბო (კიოტი), 1522/3-1534 წწ-ის შემდგომ (ქსიმ 3086 (331));
5. ხონის საწინამძღვრო ჯვარი, 1565-1583 წწ. (ქსიმ 3861);
6. გელათის საწინამძღვრო ჯვარი, 1568-1572 წწ. (სხმ-51);
7. **მთის წმ. გიორგის მონასტრის წმ. გიორგის ხატი 1522/3-1534 წლების შემდგომ (ქსიმ 3168/565).**

რაც შეეხება ხატის დათარიღებას: მთის წმ. გიორგის მონასტრის ხატი და სადგერის 1522/3-1534 წლების საკურთხევლისწინა ჯვარი, რომელზეც გვხვდება ანალოგიური სცენა, თითქმის იდენტურია და შეიძლება მის თანადროულადაც ჩაითვალოს. თუმცა, ჩემი დაკვირვებით, მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს ხატი, და განსაკუთრებით გველეშაპზე გამოსახული ადამიანის პროფილი, შედარებით უფრო დახვეწილი ხელობითაა ნაჭედი და სადგერის ჯვარზე გვიან უნდა იყოს შესრულებული. შესაბამისად, მის სავარაუდო თარიღად XVI საუკუნის შუა პერიოდი უნდა განისაზღვროს.

მიჩნეულია, რომ მამნემ სადგერის ჯვარი, შემოქმედის მიძინების ხატი და კუბო-კარედი სამცხეში ყოფნისას შექმნა, ხოლო კულაშის კუბო, გელათისა და ხონის საწინამძღვრო ჯვრები უკვე იმერეთში, კერძოდ, გელათში მოღვაწეობისას (საყვარელიძე, 1987: 77-78). რთულია ზუსტად განისაზღვროს მთის წმ. გიორგის მონასტრის წმ. გიორგის ამ ხატის შექმნის ისტორიულ-გეოგრაფიული არეალი, თუმცა, მისი შექმნის თარიღისა და ადგილსამყოფელი მონასტრის გათვალისწინებით, რომელსაც გელათის მონასტერთან დოკუმენტურად

ხოლო ატარუთის ბარძიმზე ერთი მითიური არსება - ადამიანის თავიანი გველია. შესაბამისად, ეს ორი ნიმუში არ უნდა ჩაითვალოს ერთი და იგივე სტილად.

[9] აქვე მინდა შევნიშნო, რომ როგორც უკვე აღვნიშნე, მამნეს ხელისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნები შევნიშნე ნიკორწმინდის ოთხთავის ბუდის მარცხენა საკეტის XVI ს-ის წარწერაში (იხ. ზემოთ). ამის გამო, არის დიდი ალბათობა, რომ საქმე გვქონდეს ამ დიდებული ოსტატის კიდევ ერთ, რიგით მერვე უცნობ ნამუშევართან. ვინაიდან ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია და უფრო ვრცელ მუშაობას მოითხოვს, ამ ეტაპზე საკითხს ღიად ვტოვებ და მხოლოდ პალეოგრაფიულ ანალიზზე დაფუძნებული ვარაუდით ვკმაყოფილდები.

დადასტურებული ინსტიტუციური კავშირი ჰქონდა (ჟღენტი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორიების ისტორიიდან - გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები), 2020ბ: 89-96), ვვარაუდობ, რომ ეს ხატიც მამნეს იმერეთში მოღვაწეობისას შეუქმნია.[10]

როგორ მოხვდა ხატი მთის წმ. გიორგის მონასტერში?

არსებული მონაცემებით რთულია რაიმეს დაზუსტებით მტკიცება. როგორც უკვე აღვნიშნე, თ. საყვარელიძის აზრით, ოქრომჭედელი მამნე იმერეთში გადმოსვლის შემდეგ გელათში მოღვაწეობდა, ხოლო მთის წმ. გიორგის მონასტერს გარკვეული სენიორალური კავშირები ჰქონდა გელათთან. ამ მოცემულობით, შეიძლება დავუშვათ, რომ ხატი მთის წმ. გიორგის მონასტერში გელათიდან მოხვდა. იყო ეს სპეციალურად მთის წმ. გიორგის მონასტრისათვის შექმნილი ხატი თუ არა, ქტიტორული წარწერის არარსებობის გამო, ამ ეტაპზე უცნობია.

და საერთოდაც, არის თუ არა ეს სიძველე კლასიკური ხატი თუ რაიმე სხვა სახის ჭედურობის მცირე ფრაგმენტი?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხატი საკმაოდ მცირე ზომისაა (24X20,5 სმ. წონა: 1121 გრ.) და ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ბუდეში. ამასთანავე მამნე ოქრომჭედელის ყველა აქამდე ცნობილი ნამუშევარიდან კლასიკური ხატი არ გვხვდება.[11] ხოლო ჩვენთვის საინტერესო ხატის თითქმის იგივე სცენა გვხვდება (სადგერის) საკურთხევლისწინა ჯვარზე. შეგვეძლო გვეფიქრა, რომ მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს ხატიც ოდესმე მამნეს მოჭედილი კიდევ ერთი საკურთხევლისწინა ჯვრის იკონოგრაფიის შემადგენელი სცენა იყო. ამავე დროს, ზემოთაც ითქვა, რომ ამ ხატს დიდი ალბათობით კიდეებზე შემოუყვებოდა დეკორატიული არშია, რომლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი: 1. ხატის ქვედა მარცხენა ნაწილში (ისიც არა თავის ადგილზე, არამედ ცხენის უკანა ფეხების ადგილზე მიჭედებული); 2. ხატის მარცხნივ (წმ. გიორგის მოსასხამის გასწვრივ); 3. და ხატის ქვედა მარჯვენა კუთხეში. ამ ფრაგმენტებზე გამოსახულია ყვავილოვანი მოტივი, რომლის ფონსაც

[10] ეს თავისთავად არ გამორიცხავს იმ ალბათობასაც, რომ სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის მსგავსად წმ. გიორგის ეს ხატიც მესხეთში შექმნილიყო და მოგვიანებით იმერეთის სამეფოში, მთის წმ. გიორგის მონასტერში აღმოჩენილიყო. მით უმეტეს, მთის წმ. გიორგის მონასტერში სულ მცირე ერთი ტაოკლარჯული სიძველე ისედაც იყო დაცული. ვგულისხმობ მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტას წმ. გიორგის ცხოვრების გამოსახულებით, რომელზეც იხსენიებოდა XI საუკუნის იშხნელი ეპისკოპოსი მელქისედეკი (ჟღენტი, ტაოკლარჯული წარმომავლობის სიძველე მთის წმ. გიორგის მონასტრიდან - XI საუკუნის საკურთხევლისწინა ჯვრის უცნობი ფრაგმენტი იშხნიდან?, 2021ბ: 232-244). მთის წმ. გიორგის მონასტერშივე ინახებოდა ერთი ხელნაწერი - გამოკრებილი სამოციქულო, რომელიც დღეისათვის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება შიფრით ქსიმ 487. ხელნაწერის ბოლო ფურცელზე შესრულებული ვინმე ლასურისძისა და ხახულარის მოსახსენებელი წარწერების მიხედვით, ვვარაუდობ, რომ ეს ხელნაწერიც ტაოკლარჯული წარმომავლობის უნდა იყოს (კვლევის შედეგებს უახლოეს მომავალში გავაცნობ სამეცნიერო საზოგადოებას). ცნობილია, რომ სადგერის ჯვარი 1534 წელს უკვე ჩხარში იყო (ჩხარტიშვილი, 1978: 23-4). იმ შემთხვევაში, თუ ეს ხატიც მესხეთში მოიჭედა და სადგერის ჯვრის მსგავსად იმერეთში მოგვიანებით გადაიტანეს, შესაძლოა ეს ხატიც 1534 წლისათვის უკვე იმერეთში ყოფილიყო.

[11] აქვე განვმარტავ, რომ შემოქმედის დაკარგული ხატი კარედის ტიპის იყო, და არა კლასიკური ხატი.

მრავალი მცირე წერტილი ფარავს. ვფიქრობ ამის ანალოგიური თუ არა ძალზედ მსგავსი ელემენტი გვხვდება მამნესავე მოჭედილი კულაშის კუბო-კარედზეც (საყვარელიძე, 1987: სურ. 35). მამნეს ყველა შემორჩენილ ნამუშევარს ასევე ახასიათებს შედარებით ვრცელი ქტიტორული წარწერებიც, რაც მთის წმ. გიორგის მონასტრის ამ ხატზე დღეისათვის არ გვხვდება. რთული წარმოსადგენია ისეთ ოსტატს, როგორიც მამნე იყო, არ მოეხსენებინა თავი მის ამ ნამუშევარშიც. ყოველივე ამის გამო, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ეს არ იყო კლასიკური ტიპის ხატი, არამედ რაიმე სხვა სახის ჭედურობის (საკურთხევლისწინა ჯვარი, კარედი ხატი, კიოტი...) ნაწილი, ხოლო ტყავგადაკრულ ხის ჩარჩოში მოგვიანებით ჩასვეს.[12]

უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი

ჩემდა გასაკვირად, აქამდე ამ უნიკალური იკონოგრაფიული მოტივისათვის - გველეშაპზე გამოსახული ადამიანის პროფილისათვის ყურადღება არავის მიუქცევია: არც ე. თაყაიშვილს (თაყაიშვილი, 1948: 165-177), არც გ. ბოჭორიძეს, არც გ. ჩუბინაშვილს (Чубинашвили, 1959: 450), არც ა. ჩხარტიშვილსა და არც თ. საყვარელიძეს. ამათგან მთის წმ. გიორგის ხატი მხოლოდ გ. ბოჭორიძეს ჰქონდა ნანახი (ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ მან შეადგინა მისი აღწერილობა) და მანვე ჩააბარა ეს სიძველე ქუთაისის მუზეუმს (იხ. ზემოთ). ხოლო სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი შეისწავლა ყველა დანარჩენმა ჩამოთვლილმა მეცნიერმა. დიდი ალბათობით, ეს მნიშვნელოვანი დეტალი მათ გამორჩათ იმის გამო, რომ გამოსახულება სწორედ იმ ადგილასაა ჩაჭყლეტილი, სადაც გველეშაპზე გამოსახული პროფილი მდებარეობს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა შინაარსობრივ დატვირთვას შეიძლება ატარებდეს წმ. გიორგის ხატის ეს დეტალი?

ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშებში ცხენზე მჯდომი წმ. გიორგის იკონოგრაფიის სამი სახეობა გვხვდება. ეს სახეობები კლასიფიცირებულია ბოროტების ამსახველი არსების მიხედვით, რომელსაც წმ. გიორგი განგმირავს. ესენია: 1. გველი; 2. გვირგვინოსანი პირი (იმპერატორი დიოკლეტიანე); 3. კიდურებიანი და/ან ფრთიანი გველეშაპი (დრაკონი). X საუკუნეში დასტურდება სამივე სახეობის გამოყენება ქართულ ხელოვნებაში. მიუხედავად განსხვავებული გარეგნობისა, შინაარსობრივად, დიოკლეტიანე და გველეშაპიც თანაბრადაა ბოროტებასთან გათანაბრებული (Чубинашвили, 1959: 325, 368-369, 372).

[12] მითუმეტეს, მსგავსი პრეცედენტი იმავე მონასტერში არსებობდა. როგორც ზემოთ უკვე ვახსენე, მთის წმ. გიორგის მონასტერშივე ინახებოდა მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტა წმ. გიორგის ცხოვრების გამოსახულებით, რომელზეც იხსენიებოდა XI საუკუნის იშხნელი ეპისკოპოსი მელქისედეკი. ეს სიძველე დღეისათვის დაკარგულია, თუმცა. გ. ბოჭორიძისეული აღწერილობისა და მსგავსი იშვიათი იკონოგრაფიული ანალოგების მოძიების საფუძველზე ვფიქრობ, რომ ეს ფირფიტა იშხნის XI საუკუნის დაკარგული საკურთხევლისწინა ჯვრიდან უნდა იყოს მოხსნილი, ხოლო მთის წმ. გიორგის მონასტერში იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ სამცხე-საათაბაგოს შემოერთების (1535 წ.) ან ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის (1545 წ.) შემდეგ უნდა მოხვედრილიყო.

ძველი ქართული ხელოვნების ისტორიაში კარგადაა ცნობილი ერთი უნიკალური იკონოგრაფიული მოტივის მატარებელი წმ. გიორგის ჭედური ხატების ცალკეული ჯგუფი, სადაც ცხენზე ამხედრებული წმინდა მხედარი განგმირავს არა გველეშაპს, არამედ რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.). გ. ჩუბინაშვილის აზრით, ეს მოტივი ჯერ კიდევ X-XI საუკუნეში ჩაისახა და მხოლოდ ქართულ იკონოგრაფიაში გვხვდება. მის შინაარსში კი აისახა ის ანტიბიზანტიური განწყობა, რაც იმ პერიოდის საქართველოში სუფევდა აგრესორი ბიზანტიის იმპერატორების წინააღმდეგ (Чубинашвили, 1959: 373; საყვარელიძე, 1987: 50).[13]

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მოტივი ქართულ ხელოვნებაში ჯერ კიდევ VII ს-ში, მარტვილის (ჭყონდიდის) მონასტრის ბარელიეფზე გვხვდება (Аладашвили, 1977: 50, 53, 247), რაც ამ იკონოგრაფიული მოტივის მსოფლიოში უძველეს ნიმუშად ითვლება (Snyder, 2019: 71).[14]

მოგვიანებით, X-XI საუკუნეებში, ეს მოტივი საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართულ მონუმენტურ კულტურაში. წმ. გიორგისა და დიოკლეტიანეს რელიეფები გვხვდება ვალესა და ჯოისუბნის X საუკუნის ეკლესიებზე, ახალშენის, ნიკორწმინდის, ბედიის, ჯრუჭის და სხვა XI საუკუნის ეკლესიებზე (Аладашвили, 1977: 95, 129, 147, 159; ალადაშვილი, 1978: 68-76; შარია, 2021: 58-59; (დადიანი თ., კვაჭატაძე ე., ხუნდაძე თ., 2017: 26, 135, 137, 139, 161, 171, 222, 248).[15]

ქართული ქვაზე კვეთილობის, მონუმენტური ფერწერისა[16] და ჭედური ხელოვნების ნიმუშების გარდა, ეს მოტივი გვხვდება ასევე ქართულ ნუმიზმატიკაში. კერძოდ, კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდის მიერ 1031 წლის შემდგომ მოჭრილ ფულზე, რაც წმ. გიორგის მონეტაზე ასახვის პირველი პრეცედენტია მსოფლიოში (ფაღავა, 2016: 262).[17]

---

[13] თავის მხრივ, წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს მოკვლის სცენა, უნდა იყოს მხედრის მიერ მისი ქვეითი ოპონენტის შუბით მოკვდინებისა და ტრიუმფალური გამარჯვების იმ უძველესი მოტივის ანარეკლი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს მრავალ კულტურაში ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ეპოქაში (Snyder, 2019: 71). აღსანიშნავია ისიც, რომ წმ. გიორგისა და დიოკლეტიანეს სცენა საქართველოს საზღვრებს გარეთ გვხვდება მხოლოდ ვანის ტბასთან მდებარე აღთამარის X საუკუნის სომხური კათედრალის ბარელიეფებზე. თუმცა, როგორც ჩანს, ძველ სომხურ ხელოვნებაში ამ მოტივმა განვითარება ვერ ჰპოვა (Snyder, 2019: 79-80).

[14] მარტვილის გარდა ამ მოტივის უძველეს გამოსახულებას ვხვდებით წებელდის ტაძრის კანკელზეც, რომელიც VII-VIII საუკუნეებით თარიღდება (Snyder, 2019: 79).

[15] ეს მოტივი გვიან შუასაუკუნეების ქვაზე კვეთილობაზე, ძალიან იშვიათია, თუმცა, მაინც გვხვდება საინტერესო ნიმუშები. მაგალითად, ლეჩხუმის მცხეთის ეკლესიის XVIII საუკუნის რელიეფის სახით, სადაც წმ. გიორგი საერო ქუდითა და დიდი ულვაშებითაა გამოსახული (დადიანი თ., კვაჭატაძე ე., ხუნდაძე თ., 2017: 374).

[16] წმ. გიორგისა და დიოკლეტიანეს მოტივი გვხვდება ადიშის ეკლესიის ფასადზე (წურწუმია, 2016: 303).

[17] გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ ამ მოტივის გავრცელება იმ პერიოდის ანტიბიზანტიურ განწყობასთან არის კავშირში, ეს ფაქტიც აძლიერებს, რადგან კვირიკე III დიდი იმ ძლიერი ანტიბიზანტიური ალიანსის მნიშვნელოვანი მონაწილე იყო და ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას უწევდა მეფე გიორგი I-ს (1014-1027) (თავაძე, 2020: 45-46, 89).

რაც შეეხება ქართულ ჭედურ ხელოვნებას, ჩვენამდე შემორჩა იმპერატორ დიოკლეტიანეს განმგმირავი ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის X-XIII სს-ის 30-ზე მეტი ჭედური ნიმუში. აღსანიშნავია, რომ ეს ნიმუშები სვანური ან რაჭული წარმომავლობის არიან. უკვე XIII საუკუნეში ქართულ ჭედურობაში შეიმჩნევა დიოკლეტიანეს მოტივის გველეშაპით ჩანაცვლების ტენდენცია (Чубинашвили, 1959: სურ.: 34-5, 38, 42-4, 181-7, 190-4, 229-30, 239-56, 439-44, 463, 470, 519-23]. თუმცა, ეს მოტივი გვიანდელ ჭედურობაში შედარებით მცირე რაოდენობით, მაინც გვხვდება.[18]

ამგვარად, ძველი ქართული ხელოვნების უამრავი ნიმუში ადასტურებს, რომ მხედარ წმ. გიორგის მიერ იმპერატორ დიოკლეტიანეს განგმირვის იკონოგრაფიული მოტივი უძველესი და სუფთა ქართული მოვლენა იყო, რომელიც VII-XVIII სს-ის ქართულ ხელოვნებაში საკმაოდ პოპულარული იყო და ცვალებადი სიხშირით ცირკულირებდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, მთის წმ. გიორგის მონასტრის კუთვნილ წმ. გიორგის ხატსა და სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის სცენაზე გამოსახული გველეშაპის ტორსზე არსებული ადამიანის სახის პროფილი, ჩემი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა იმპერატორ დიოკლეტიანეს გამოსახულება. მით უმეტეს, შუა საუკუნეების ქრისტიანულ იკონოგრაფიაში პროფილში, ძირითადად, უარყოფით ან მეორეხარისხოვან ადამიანებს გამოსახავდნენ (Орецкая, 2012: 400).

ქართველებში წმ. გიორგის კულტის განსაკუთრებულობის გამო, ქართველმა ოსტატებმა, რიგ შემთხვევაში, თავად შექმნეს და დაამკვიდრეს ახალი, ორიგინალური იკონოგრაფიული ვარიანტები, რაც უმთავრესად სწორედ წმ. გიორგისა და დიოკლეტიანეს მოტივში აისახა (საყვარელიძე, 1987: 48). მით უმეტეს, მამნეს ახასიათებდა შემოქმედებითი თავისუფლება. ეს კარგად აისახა იმავე სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის წმ. გიორგის სასწაულების ერთ-ერთ სცენაზე, სადაც მხედარი წმ. გიორგი განგმირავს ასევე ცხენზე ამხედრებულ დიოკლეტიანეს. ასეთი სცენა ქართულ ხელოვნებაშიც კი გამონაკლისია და ეს კომპოზიცია უნიკუმად ითვლება (საყვარელიძე, 1987: 49-50).

თ. საყვარელიძე სადგერის ჯვრის ჩვენთვის საინტერესო კომპოზიციაში სწორედ გველეშაპის თავისებური გამოსახვის ტიპს უსვამს ხაზს - თათებითა და მოკლე ფრთებით (საყვარელიძე, 1987: 51).[19] იგივე სახითაა გამოსახული ეს ურჩხული მთის წმ. გიორგის ხატზეც. ხოლო გველეშაპზე დიოკლეტიანეს სახის პროფილში გამოსახვაც მამნეს იდეა უნდა იყოს, რადგან სადგერის ჯვარზე „*საცა და რამდენადაც ეს მოსახერხებელია, მამნეს ფიგურის თავი* ***პროფილით*** *ან თითქმის პროფილით აქვს გადმოცემული*“ (საყვარელიძე, 1987: 52).

[18] ვგულისხმობ იმავე 1522/3-1534 წლების სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის წმ. გიორგის მიერ ცხენოსანი დიოკლეტიანეს მოკვლის სცენას (საყვარელიძე, 1987: სურ. 20); ასევე შემოქმედის გვიანი პერიოდის წმ. გიორგის ხატს (Кондаков, Н. П., Бакрадзе, Д., 1890: 123-124). ასევე ცაგერის XVII საუკუნის წმ. გიორგის ხატს (ნიკოლეიშვილი, 2001: 91).

[19] გველეშაპის ასეთ გამოსახვაზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ, XV-XVI საუკუნეების ქართულ-ბერძნული ხელნაწერის განხილვისას.

ისმის სამართლიანი კითხვა: იყო თუ არა ეს სტილი - გველეშაპისა და დიოკლეტიანეს შერწყმა, როგორც წმ. გიორგის ტრიუმფი ბოროტებაზე, უშუალოდ მამნეს მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი?

იმავე სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარზე, ვედრების კომპოზიციაში გვხვდება კიდევ ერთი იშვიათი მოტივი - წმ. გიორგის ნახევარი ფიგურა მისივე მოკვეთილი თავით ხელში. თ. საყვარელიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ვედრების კომპოზიციაში ამ ფიგურის ჩასმა უშუალოდ მამნეს გადაწყვეტილება იყო, თვით წმ. გიორგის ამგვარი იკონოგრაფია (საკუთარი მოკვეთილი თავით ხელში) მან ბერძნული სამყაროდან ისესხა, რასაც ადასტურებს წმ. გიორგის ამგვარი გამოსახულების კიდევ სამი, ამჯერად უკვე ბალკანური წარმომავლობის ხატი. ეს, მისივე აზრით, მიუთითებს სამცხისა და ათონის კულტურული კონტაქტებზე (საყვარელიძე, 1987: 37-46).

ვფიქრობ, იმავე კონტექსტში დიოკლეტიანესა და გველეშაპის შერწყმული სტილის განხილვა დაუშვებელია, რადგან: 1. მთის წმ. გიორგის ხატისა და სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის გარდა, როგორც უკვე რამდენჯერმე აღვნიშნე, სხვაგან ასეთი პრეცედენტები აღარ მეორდება; 2. მხედარი წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს მოკვლის მოტივი, როგორც უკვე აღინიშნა, არის წმინდა ქართული მოტივი და შეუძლებელია მამნეს ეს სხვა კულტურიდან აეღო.[20]

---

[20] ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის მიერ გველეშაპის მოკვლის ეს კონკრეტული სცენა (ადამიანის პროფილის გამოკლებით), ფართოდ იყო გავრცელებული გვიანი შუასაუკუნეების მართლმადიდებლურ ხელოვნებაში. ამის ნიმუშად მინდა მოვიყვანო რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული XV-XVI საუკუნეების ქართულ-ბერძნული ხელნაწერი (разнояз. O. I. 58), რომელსაც აკლია ანდერძი და ჩვენთვის უცნობი რჩება მისი შექმნის თარიღი და ადგილი. მიუხედავად ამისა, ხელნაწერი ათონური ხატწერის სახელმძღვანელოდ ითვლება. ამ მინიატურულ ხელნაწერში თავმოყრილია მრავალი იკონოგრაფიული ნიმუში, რომლებიც განიცდიან ათონური და ათონთან დაკავშირებული მხატვრული წრის (თესალონიკური), კრეტული და დასავლური ხელოვნების გავლენას. ამ მინიატურათა შორის, 60r-ზე გვხვდება მხედარი წმ. გიორგისა და განგმირული გველეშაპის სცენა, რომლის როგორც ზოგადი ვიზუალი, ისევე მისი დეტალები, როგორებიცაა წმ. გიორგის მოსასხამი, აბჯარი, მკლავისა და მტევნის ფორმა და პოზა, ცხენის ფაფარი, აღვირ-ლაგამი, უნაგირის უკანა ღვედები, კუდის კვანძი, გველეშაპის კუდში ახლართული ცხენის უკანა კიდურები, გველეშაპის დაშვებული ფრთა, მთლიანი სხეულის ფორმა, თავი, მაკურთხეველი მარჯვენა და სხვა, დიდ მსგავსებას ავლენს მამნეს მიერ შექმნილ სადგერის ჯვრის წმ. გიორგის სცენასა და მთის წმ. გიორგის (წყნორის) ხატთან. აღსანიშნავია, რომ ეს ქართულ-ბერძნული ხელნაწერი ყველაზე ახლოს დგას სწორედ სამცხის ათაბაგთა კარის სკრიპტორიუმის ხელნაწერებთან (ეს ხელნაწერებია: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მზეჭაბუკ ყვარყვარე ათაბაგის ძის შეკვეთით შექმნილი 1494 წლის ფსალმუნნი A-351, ყვარყვარე ათაბაგისა და დედისიმედის ასულის - დედოფალთ-დედოფალი თამარის დაკვეთით გადაწერილი 1504 წლის ოთხთავი Q-920, სავარაუდოდ იმავე პირის შეკვეთით გადაწერილი XVI საუკუნის ოთხთავი Q-921 და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული 1502 წლის ოთხთავი K-375) (დუღაშვილი, ე., ქავთარია, ნ., 2012: 3-4, 8, 51). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ოქრომჭედელი მამნეც თავდაპირველად სწორედ სამცხის ათაბაგთა კარზე მოღვაწეობდა. ზემოთ ასევე ვახსენე ათონური და ზოგადად ევროპული იკონოგრაფიის გავლენა მამნეს შემოქმედებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ XVII საუკუნის გელათის გულანში (ქუთაისის ისტორიული მუზემი, K-115) 155-ე და 157-ე ფურცლებზე ჩაკრულია ორი მინიატურა სწორედ ზემოხსენებული ხელნაწერიდან (შერვაშიძე, 1953:

ა. ჩხარტიშვილის მიხედვით *„ის, რომ მამნე ოქრომჭედელმა აღნიშნული კომპოზიციების* (მხედარი წმ. გიორგის სცენების - ნ. ჟ.) *შექმნის დროს გამოავლინა დიდი ფანტაზია და ისინი სულ სხვადასხვა ფორმითა და განწყობილებით შეასრულა, რა თქმა უნდა, ოსტატის დიდ შესაძლებლობაზე მეტყველებს. მამნე დიდი ფანტაზიისა და მხატვრულ-ტექნიკური შესაძლებლობების მხატვარია. იგი სრულყოფილად ფლობს ჭედური ხელოვნების ტექნიკურ საიდუმლოებებს და დახვეწილი გემოვნებით ქმნის კომპოზიციებს, რომლებიც მნახველს ერთფეროვნებით თავს არ აბეზრებს“* (ჩხარტიშვილი, 1978: 71). მისივე შეფასებით მამნე ოქრომჭედლის მთავარი ღირსება რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილ ნამუშევრებში დრამატიზმის, ადამიანური ხასიათებისა და განწყობილებების შეტანაა [ჩხარტიშვილი, 1978: 108].

ყოველივე ამის გამო, მიმაჩნია, რომ ოქრომჭედელი მამნე, მხედარ წმ. გიორგისა და შუბით მოკლული გველეშაპის სცენების მოჭედვისას განიცდიდა უცხოური (ათონური) იკონოგრაფიის გავლენას, ხოლო ეს უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი - გველეშაპის ფრთაში ადამიანის (დიოკლეტიანეს) პროფილის გამოსახვა - მამნეს ორიგინალური მიგნებაა, რომლითაც მან ეს გამოსახულება უფრო ეროვნული იკონოგრაფიის ჩარჩოებში მოაქცია და მას თავისუფლად შეგვიძლია „მამნესეულიც“ კი ვუწოდოთ.

დასკვნები

1. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ხატი შიფრით #3168/565 (ძვ. #2872), რომელიც ოდესღაც მთის წმ. გიორგის მონასტრის საკუთრება იყო, ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატის - მამნეს უცნობი ნამუშევარია, რომელიც მას XVI საუკუნის შუა პერიოდში უნდა მოეჭედა, სავარაუდოდ, გელათში.
2. შესაბამისად, ჩვენამდე მოაღწია მამნეს არა 6-მა ნამუშევარმა, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული, არამედ 7-მა ნამუშევარმა. როგორ და როდის მოხვდა ეს სიძველე მთის წმ. გიორგის მონასტერში, უცნობია, თუმცა, ამ მონასტერსა და გელათს შორის არსებული ისტორიული კავშირების გათვალისწინებით, მონასტერში ის გელათიდან უნდა აებრძანებინათ;
3. გამოვლინდა უშუალოდ მამნეს შექმნილი უნიკალური იკონოგრაფიული დეტალი - გველეშაპის სხეულზე, მის ფრთაში შერწყმული დიოკლეტიანეს

55-62). ეს კი შეიძლება იყოს მინიშნება, რომ რაღაც პერიოდი ბერძნულ-ქართული ხელნაწერი იმერეთში (გელათში?) ინახებოდა. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ხელნაწერის წარმომავლობა და მოგზაურობის ისტორია ემთხვევა მამნე ოქრომჭედლის მოღვაწეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ ეპიზოდებს. ეს კი, თავისმხრივ, ბადებს ლოგიკურ კითხვას: ხომ არ შეიძლება იყოს რაიმე კავშირი ამ ხელნაწერსა და მამნეს შორის? ვინაიდან ქართულ-ბერძნულ ხელნაწერს აკლია ანდერძი და უცნობი რჩება მისი შექმნის ისტორიული და გეოგრაფიული გარემო, მისი კავშირი მამნე ოქრომჭედელთან ცალკეული ვრცელი კვლევის საკითხია. მამნესა და ამ ხელნაწერის ურთიერთმიმართების საკითხების კვლევა, ვფიქრობ, გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას, ერთი მხრივ, ამ უნიკალური ხელნაწერის შესახებ, მეორე მხრივ კი მამნეს შემოქმედების შესახებ.

პროფილის გამოსახვის მეთოდი, რომელიც მხოლოდ მთის წმ. გიორგის მონასტრის ამ ხატსა და სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარზე გვხვდება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ იკონოგრაფიულ დეტალს ანალოგი არ მოეძებნება ჩვენამდე შემორჩენილ ძველ ქართულ და მსოფლიოს სხვა ქრისტიანული ერების ძველი ხელოვნების ჭედურ თუ სხვა სახის იკონოგრაფიულ ნიმუშებს შორის;

4. მთის წმ. გიორგის მონასტრის ეს წმ. გიორგის ხატი და სადგერის საკურთხევლისწინა ჯვრის წმ. გიორგის მიერ ყრმის გამოხსნის სცენა იმდენად გვანან ერთმანეთს, რომ შესაძლებელი ხდება მათი ნაკლული ადგილების, აგლეჯილი ლითონის ნაწილების (ერთგან წმ. გიორგის ტორსის ზედა ნაწილის, ხოლო მეორეგან ცხენისა და გველეშაპის დიდი ნაწილის) მაქსიმალურად მიახლოებითი ვიზუალის აღდგენა.
5. მივაგენით რა მამნეს მდიდარი ფანტაზიის ასეთ ნიმუშს, ვფიქრობ კონკრეტული დარგის სპეციალისტებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მამნეს შემოქმედებას ამ კონკრეტული მიმართულებით: ხომ არ იყენებდა ეს ოსტატი მსგავსი „შეფარული“ დეტალების მეთოდს მის სხვა ნამუშევრებშიც?

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

Snyder, S. (2019). An Image of Power in Transition: St. George Slaying Diocletian and the War of Images. *Eidos, a journal for philosophy of culture. Vol. 3. no. 4 (10).*, 67-100.

Аладашвили, Н. (1977). *Монументальная скульптура Грузии (фасадные рельефы V-XI веков).* Москва: Искусство.

Кондаков, Н. П., Бакрадзе, Д. . (1890). *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии.* Санкт-Петербург: Типография Министерства путей сообщения.

Орецкая, И. А. (2012). Иуда Искариот (Иконография). *Православная Энциклопедия, Том XXVIII*, 400.

Чубинашвили, Г. (1959). *Грузинское чеканное искусство.* Тбилиси: Мецниереба.

ალადაშვილი, ნ. (1978). ჯოისუბნის რელიეფები. *საბჭოთა ხელოვნება, №7*, 68-75.

ბოჭორიძე, გ. (1995). *იმერეთის ისტორიული ძეგლები.* თბილისი: მეცნიერება.

გურგენიძე, ვ. (1986). ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე (დოკუმენტები მოგვითხრობენ). *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4*, 161-167.

დადიანი თ., კვაჭატაძე ე., ხუნდაძე თ. . (2017). *შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება.* თბილისი: სეზანი.

დვალი, მ. (1968). ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია. *მაცნე, 4*, 155-165.

დუღაშვილი, ე., ქავთარია, ნ. (2012). *ამბავი ერთი ხელნაწერისა - ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან.* თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

თავაძე, ლ. (2020). *კვირიკე III დიდი.* თბილისი: პალიტრა L.

თაყაიშვილი, ე. (1948). ჩხარის ეკლესიის სიძველენი, სადგერ-ჩხარის ჯვარი, მისი წარწერები და ამ წარწერების განმარტება. *მუზეუმის მოამბე, XV-B*, 165-179.

ნიკოლეიშვილი, მ. (2001). ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, XIII*, 1-102.

ჟღენტი, ნ. (2019, ნოემბერი 20). *მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან - აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წამომავლობა.* Retrieved from www.spekali.tsu.ge: http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202

ჟღენტი, ნ. (2020ა). მთის წმ. გიორგის მონასტრის საეკლესიო სიძველეები (ზოგადი მიმოხილვა). *ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (მოხსენებათა კრებული)* (pp. 299-309). თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჟღენტი, ნ. (2020ბ). მთის წმ. გიორგის მონასტრის კიდევ ერთი დაკარგული სიძველე - ქუცნა მხეიძის ქტიტორობით მოჭედილი წმ. გიორგის ხატი. *Scientia, I*, 174-195.

ჟღენტი, ნ. (2020გ). დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორიების ისტორიიდან - გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები). *წმინდა გრიგოლ ფერაძე 120, წმინდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია "საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია" (მასალები)* (pp. 89-96). თბილისი: უნივერსალი.

ჟღენტი, ნ. (2021ა). მთის წმ. გიორგის მონასტრის დაკარგული საკურთხევლისწინა „ნათლისმცემლის ჯვარი“ (იგივე ძმუისის „ოქროს ჯვარი“) გლახაკი არსენის, ბაგრატ კურაპალატისა და ერისთავთ-ერისთავების - კახაბერის და მიქელის საქტიტორო-მოსახსენებელი წარწერებით. *საისტორიო კრებული, 8*, 308-328.

ჟღენტი, ნ. (2021ბ). ტაოკლარჯული წარმომავლობის სიძველე მთის წმ. გიორგის მონასტრიდან - XI საუკუნის საკურთხევლისწინა ჯვრის უცნობი ფრაგმენტი იშხნიდან? *ენრიკო გაბიძაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული*, 274-286.

რუხაძე, ტ. (1946). პოეტი სვიმეონ დეკანოზი შოთას-ძე (შოთაშვილი). *ლიტერატურული ძიებანი, III*, 379-384.

საყვარელიძე, თ. (1987). *XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, ნაკვეთი I: XIV-XVI საუკუნეები.* თბილისი: მეცნიერება.

ფაღავა, ი. (2016). საქართველოს გაერთიანება და ნუმიზმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული - XII საუკუნის დასაწყისი). *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IX*, 247-270.

შარია, შ. (2021). *ბედიის სამონასტრო კომპლექსი.* თბილისი: მერიდიანი.

შერვაშიძე, ლ. (1953). მინიატურები ქუთაისის ხელნაწერისა №115 და ლენინგრადის ხელნაწერისა O. I. №58). *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №1*, 55-62.

ჩხარტიშვილი, ა. (1978). *მამნე ოქრომჭედელი.* თბილისი: მეცნიერება.

წურწუმია, მ. (2016). *შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700 წწ.) ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება.* თბილისი: მხედარი.

References

Snyder, S. (2019). *An Image of Power in Transition: St. George Slaying Diocletian and the War of Images*. Eidos, a journal for philosophy of culture. Vol. 3. no. 4 (10)., 67-100.

Aladashvili, N. (1977). *Monumental'naja skul'ptura Gruzii (fasadnye rel'efy V-XI vekov).* [*The monumental sculpture of Georgia (façade reliefs of 5th-11th centuries).*] Moscow: Iskusstvo.

Kondakov, N. P., Bakradze, D. (1890). *Opis' pamjatnikov drevnosti v nekotoryh hramah i monastyrjah Gruzii*. [*The descriptions of the antiquities of some churches and monasteries of Georgia*] Saint-Petersburg: Tipografija Ministerstva putej soobshhenija.

Oreckaja, I. A. (2012). *Iuda Iskariot (Ikonografija)*. Pravoslavnaja Jenciklopedija, Tom XXVIII, 400. [*Judas Iscariot (Iconography)*. Orthodox encyclopaedia, vol. XXVIII] Moscow

Chubinashvili, G. (1959). *Gruzinskoe chekannoe iskusstvo*. [*Georgian repousse art*] Tbilisi: Mecniereba.

aladashvili, n. (1978). joisubnis reliepebi. *sabch'ota khelovneba*, №7 [Reliefs of Joisubani. *Soviet Art, vol. 7*], 68-75.

boch'oridze, g. (1995). *imeretis ist'oriuli dzeglebi*. [*Historical monuments of Imereti*] tbilisi: metsniereba.

gurgenidze, v. (1986). ist'orik'osi giorgi boch'oridze (dok'ument'ebi mogvitkhroben). *matsne, ist'oriis, arkeologiis, etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria, 4*, [Historian Giorgi Botchoridze (according to the documents). *Matsne, Serie of history, archaeology, ethnography and art history, vol. 4*], 161-167.

dadiani t., k'vach'at'adze e., khundadze t. (2017). *shua sauk'uneebis kartuli kandak'eba*. [*Medieval Georgian sculpture*] tbilisi: sezani.

dvali, m. (1968). lek'naris ts'm. giorgis ek'lesia. *matsne*, 4, [Leknari St. George's church, *Matsne, vol. 4.*], 155-165.

dughashvili, e., kavtaria, n. (2012). *ambavi erti khelnats'erisa - kartul-berdznuli ilust'rirebuli khelnats'eri sank't'-p'et'erburgis k'olektsiidan*. tbilisi: khelnats'erta erovnuli tsent'ri. [*The story of one manuscript – Georgian-Greek illustrated manuscript from the St. Petersburg's collection*. Tbilisi. National Centre of Manuscripts]

tavadze, l. (2020). *k'virik'e III didi*. tbilisi: p'alit'ra L. [*Kvirike III the Great*. Tbilisi. Palitra L.]

taqaishvili, e. (1948). chkharis ek'lesiis sidzveleni, sadger-chkharis jvari, misi ts'arts'erebi da am ts'arts'erebis ganmart'eba. *muzeumis moambe, XV-B*, [The antiquities of Chkhari's church, the cross of Sadger-Chkhari, the inscriptions and transcriptions. *Museum Bulletin, XV-B*], 165-179.

nik'oleishvili, m. (2001). kutaisis muzeumis ep'igrapik'uli dzeglebi. *kutaisis sakhelmts'ipo muzeumis shromebi, XIII*, [Epigraphical monuments of Kutaisi Museum. *Proceedings of the Kutaisi State Museum, vol. XIII*], 1-102.

zhghent'i, n. (2019, noemberi 20). mtis ts'm. giorgis monast'ris sits'mindeebis ist'oriidan - agaris ts'm. giorgis khat'i da misi ts'amomavloba. [From the History of the Relicts of Mtis (Mount) St.

George Monastery — St. George Icon of Agara and its Origin], Retrieved from www.spekali.tsu.ge: http://www.spekali.tsu.ge/indeh.php/ge/article/viewArticle/13/202

zhghent'i, n. (2020a). mtis ts'm. giorgis monast'ris saek'lesio sidzveleebi (zogadi mimokhilva). *akhalgazrda metsnierta III saertashoriso simp'oziumi humanit'arul metsnierebebshi (mokhsenebata k'rebuli)* (pp. 299-309). tbilisi: iv. javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i. [Mtis St. George Monastery Ecclesiastical Artifacts (Brief review). *III International Symposium for Young Scholars in the Humanities (Symposium proceedings).* Tbilisi. Iv. Javakhishvili Tbilisi State University]

zhghent'i, n. (2020b). mtis ts'm. giorgis monast'ris k'idev erti dak'arguli sidzvele - kutsna mkheidzis kt'it'orobit moch'edili ts'm. giorgis khat'i. *Scientia, I*, [Another Lost Relic from Mtis St. George's Monastery - St. George's Icon repoussed by the Order of Kutsna Mkheidze. *Scientia, I*], 174-195.

zhghent'i, n. (2020g). dasavlet sakartvelos saek'lesio senioriebis ist'oriidan - gelati da mtis ts'm. giorgis monast'eri (ist'oriuli k'avshirebi). *ts'minda grigol peradze 120, ts'minda grigol peradzis I saertashoriso k'onperentsia "sakartvelo da krist'ianuli tsivilizatsia" (masalebi)* (pp. 89-96). tbilisi: universali. [From the History of Church Seigniories of Western Georgia - Gelati and Mtis St. George Monasteries (Historic relationships). *PAPERS From St. Grigol Peradze 1st International Conference "GEORGIA IN THE CONTEXT OF CHRISTIAN CIVILIZATION".* Tbilisi. Universali]

zhghent'i, n. (2021a). mtis ts'm. giorgis monast'ris dak'arguli sak'urtkhevlists'ina „natlismtsemlis jvari“ (igive dzmuisis „okros jvari“) glakhak'i arsenis, bagrat' k'urap'alat'isa da eristavt-eristavebis - k'akhaberis da mikelis sakt'it'oro-mosakhsenebeli ts'arts'erebit. *saist'orio k'rebuli, 8*, [The Lost Pre-Altar Cross of St. John the Baptist from Mtis St. George Monastery (Also known as Dzmuisi “Golden Cross”) with the Commemorative Inscriptions of the Ktetors: “Poor” Arseni, Bagrat Kouropalates and “Eristavs” Kakhaber and Mikel. *Historical Collection, vol. 8*], 308-328.

zhghent'i, n. (2021b). t'aok'larjuli ts'armomavlobis sidzvele mtis ts'm. giorgis monast'ridan - XI sauk'unis sak'urtkhevlists'ina jvris utsnobi pragment'i ishkhnidan? *enrik'o gabidzashvilis iubilesadmi midzghvnili k'rebuli*, [The Relic of a Tao-Klarjetian Origin from Mtis St.

George's Monastery: Fragment of an Unknown 11th Century Pre-Altar Cross from Ishkhani. *Enriko Gabidzashvili - 90*], 274-286.

rukhadze, t'. (1946). p'oet'i svimeon dek'anozi shotas-dze (shotashvili). *lit'erat'uruli dziebani*, *III*, [The poet Svimeon Dekanozi Shotasdze (Shotashvili). *Literatural Proceedings, vol. III*] 379-384.

saqvarelidze, t. (1987). *XIV-XIX sauk'uneebis kartuli okromch'edloba, nak'veti I: XIV-XVI sauk'uneebi*. tbilisi: metsniereba. [*Georgian goldsmithery of 14th-19th centuries, vol. I, 14th-16th centuries*. Tbilisi. Metsniereba]

paghava, i. (2016). sakartvelos gaertianeba da numizmat'ik'uri evolutsiis vekt'orebi (X sauk'unis dasasruli - XII sauk'unis dasats'qisi). *akhlo aghmosavleti da sakartvelo, IX*, [Unification of Georgia and the vectors of numismatic evolution (end of 10th century – beginning of 12th century). *The Near East and Georgia*, vol. IX], 247-270.

sharia, sh. (2021). *bediis samonast'ro k'omp'leksi*. tbilisi: meridiani. [Bedia Monastery complex. Tbilisi. Meridiani]

shervashidze, l. (1953). miniat'urebi kutaisis khelnats'erisa №115 da leningradis khelnats'erisa O. I. №58). *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis moambe*, t'. XIV, №1, [The miniatures of the manuscript of Kutaisi №115 and Leningrad O. I. №58. *The Bulletin of Academy of Sciences of SSR Georgia*], 55-62.

chkhart'ishvili, a. (1978). *mamne okromch'edeli*. tbilisi: metsniereba. [*Goldsmith Mamne*. Tbilisi. Metsniereba]

ts'urts'umia, m. (2016). *shua sauk'uneebis kartuli lashkari (900-1700 ts'ts'.) organizatsia, t'akt'ik'a, sheiaragheba*. tbilisi: mkhedari. [*Medieval Georgian Feudal Army (900-1700 years) – organisation, tactics, armory*. Tbilisi. Mkhedari]